ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 29251275**
თარიღი:**07/05/2025**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლისათვის აკადემიკოს ალექსანდრე წულუკიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N° 194 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის“ მე-4[1] მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტის და სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 14 აპრილის სხდომის N -7 ოქმის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლას მიანიჭოს აკადემიკოს ალექსანდრე წულუკიძის სახელი.

მუხლი 2. განკარგულება გაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას და სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ

დავითი გოგბერაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM